გაცემის თარიღი

28.10.2022

განხილვის საგანი : ვალდებულების შესრულების დადასტურება ან/და შეზღუდვის მოხსნა

დაინტერესებული პირი : როზიზონ გეთიაშვილი 01014005996

წარმოების საფუძველი : განცხადება №: QN1929954

გასაჩივრების წესი : ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7)

აქტის მოქმედების ვადა : აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1929954

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ღ“ და „ყ“ ქვეპუნქტებისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განმსაზღვრელი წესის“ შესახებ 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დადასტურდეს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2020 წლის 28 თებერვლის №E-508-23-24945 ოქმით („ადმინისტრაციული დაპირება“) და 2020 წლის 06 მარტის №ე-508-23-24945 ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუქციონის პირობის - „შეზღუდვა - დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“ შესრულება და მოიხსნას აღნიშნული შეზღუდვა ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №149-ის მიმდებარედ არსებულ 460 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.13.02.003.399; გაერთიანების შედეგად ფორმირებული ს/კ: 01.13.02.003.205).
2. წინამდებარე ბრძანება ექვემდებარება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას.
3. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

თბილისი შარტავას ქუჩა #7
ტელ: (+995 32) 2 72 22 22 Email: infoauction@Tbilisi.gov.ge
www.auction.tbilisi.gov.ge
www.iauction.ge